ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: საბაკალავრო

1.	სასწავლო კურსის დასახელება	ქართული ენის ლექსიკოლოგია Georgian lexicology
2.	სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	1 სემესტრი
3.	კრედიტების რაოდენობა	6 კრედიტი
4.	საკონტაქტო საათების რაოდენობა	**საკონტაქტო - 32 საათი:** ● ლექცია - 13 სთ. ● სემინარი - 13 სთ. ● კოლოკვიუმი - 4 სთ. ● დასკვნითი შეფასება - 2სთ. **დამოუკიდებელი სამუშაო: 118 სთ.**
5.	ლექტორი	სვეტლანა ბერიკაშვილი, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ტელ.: (+995) 599157214 ელ-ფოსტა: svetlana.berikashvili@iliauni.edu.ge სტუდენტებისთვის ინდივიდუალური საკონსულტაციო საათების ჩანიშვნა შესაძლებელია წინასწარ, ლექტორთან შეთანხმებით.
6.	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	
7.	სწავლების მეთოდები	**სწავლება-სწავლის მეთოდები:** ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვა), ელექტრონული სწავლება. **სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები:** თანამშრომლობითი სწავლა, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი, მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება, ტექსტების და სხვა მასალის კომენტირება, მათი ინტერპრეტაცია და/ან ანალიზი, პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტებისა და ენის კორპუსების გამოყენება.
8.	სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია სტუდენტს გადასცეს ლექსიკური მასალის აღწერის, შერჩევისა და გაანალიზების ცოდნა; გააცნოს ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული კვლევის ძირითადი ასპექტები და მეთოდოლოგია; დააკავშიროს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ძირითადი თემები; განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები.
9.	სწავლის შედეგები და ძირითადი კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)	**დარგობრივი კომპეტენციები** • სტუდენტი ავლენს ფართო ცოდნას ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდზე, მის თავისებურებებსა და განვითარების გზებზე; • ირჩევს, აღწერს და აანალიზებს ლექსიკურ მასალას საბაზისო საკითხების ფარგლებში; • აკავშირებს, აანალიზებს და გადმოსმემს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ძირითად საკითხებს და იცნობს თანმდევ მეთოდოლოგიას; • პრაქტიკულად ერკვევა, ხსნის და გადმოსცემს ქართული

<table>
<tr><td></td><td></td><td>ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საბაზისო საკითხებს.

ზოგადი კომპეტენციები
• ამჟღავნებს ლინგვისტური ამოცანების გადაჭრისას ინდივიდუალურად და/ან ჯგუფში მუშაობის უნარს;
• მოქმედებს თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;
• მიზნობრივად სარგებლობს საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით.</td></tr>
<tr><td>10.</td><td>ძირითადი თემები</td><td>1. სიტყვა და მისი მნიშვნელობა (სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა, სიტყვის მრავალმნიშვნელობა);
2. სინონიმები;
3. ომონიმები;
4. ანტონიმები;
5. ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების საშუალებანი (წარმოქმნა და თხზვა, სიტყვათა სესხება, სიტყვის მნიშვნელობის ცვლა);
6. საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკა (აქტიური და პასიური მარაგი)
7. დიალექტური ლექსიკა, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონული ლექსიკა
8. ისტორიზმები და არქაიზმები, ნეოლოგიზმები
9. ფრაზეოლოგია, იდიომატიკა
10. ლექსიკური მასალის კვლევის მეთოდები
11. ლექსიკოგრაფიის საწყისები</td></tr>
<tr><td>11.</td><td>შეფასების წესი</td><td>შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:

შეფასების სისტემა:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები:
<table>
<tr><th>შეფასების ფორმა</th><th>შეფასების კომპონენტი</th><th>შეფასების ქულა</th><th>მინიმალური ზღვარი</th></tr>
<tr><td rowspan="4">შუალედური შეფასება</td><td>საშინაო დავალება</td><td>10</td><td>3</td></tr>
<tr><td>სემინარზე აქტიურობა და დავალება</td><td>20</td><td>5</td></tr>
<tr><td>კოლოკვიუმი 1</td><td>20</td><td>7</td></tr>
<tr><td>კოლოკვიუმი 2</td><td>20</td><td>7</td></tr>
<tr><td>დასკვნითი</td><td>კოლოკვიუმი</td><td>30</td><td>11</td></tr>
</table></td></tr>
</table>

		12-11 ქულა – განიცდიდა მნიშვნელოვან სირთულეს სასემინარო პრაქტიკული დავალების შესრულების დროს, მეტ-ნაკლებად მონაწილეობას იღებდა პრობლემური საკითხების განხილვაში; 10-9 ქულა – უმეტესად მოუმზადებელი იყო სემინარისთვის: სასემინარო პრაქტიკული დავალება ნაწილობრივ შეუსრულებელი იყო, თუმცა იღებდა მეტ-ნაკლებ მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 8-7 ქულა – სემინარისთვის იყო მოუმზადებელი: სასემინარო პრაქტიკული დავალება მეტწილად შეუსრულებელი იყო, თუმცა ცდილობდა მონაწილეობის მიღებას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 6-5 ქულა – სემინარისთვის უმეტესად მოუმზადებელი იყო: სასემინარო პრაქტიკული დავალება შესრულებელი იყო ცუდად, პასუხები სრულიად არაადეკვატური იყო, ძალზე იშვიათად მონაწილეობას იღებდა დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 4-3 ქულა – სემინარისთვის იყო მოუმზადებელი: მინიმალურად ცდილობდა პრაქტიკული დავალების შესრულებას, თუმცა თითქმის არ იღებდა მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 2-1 ქულა – სემინარისთვის იყო მოუმზადებელი, თითქმის არ იღებდა მონაწილეობას პრაქტიკული დავალების შესრულებაში, დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 0 ქულა – არ ესწრებოდა სემინარს, პრაქტიკული დავალება შესრულებული არ ჰქონდა, მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში არ იღებდა და/ან გამოვლინდა მოტყუებისა ან სხვისი ნაშრომის მითვისების მცდელობა. **კოლოქვიუმი** მოიცავს 4 (ოთხ) ღია კითვას, რომელთაგან თითოეული ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 5 ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი, სიღრმისეული, დასაბუთებული, ორიგინალური, საინტერესო და სრულყოფილია; 4 ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი და სიღრმისეულია, მაგრამ აკლია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია; 3 ქულა – პასუხი საკმაოდ ვრცელი და დეტალურია, მაგრამ ზედაპირულია; 2 ქულა – პასუხი შემოიფარგლება მშრალი ფაქტების ძალზე ზოგადი გადმოცემით; შეიცავს უზუსტობებს; 1 ქულა – პასუხი ძალზე მოკლე, ზოგადი და არადამაჯერებელია; 0 ქულა - პასუხი სრულიად მცდარია; პასუხი საერთოდ არ არის. **დასკვნითი შეფასება არის წერითი (ონლაინ სწავლების დროს შესაძლებელია ფორმატი ჩანაცვლდეს ზეპირით).** შეფასება ხდება 5 (ხუთი) საკითხის განხილვის საფუძველზე. საკითხების შერჩევა ხდება კურსის ფარგლებში გავლილი თემატიკის საფუძველზე. თითოეული საკითხი 6 ქულით ფასდება და შეიცავს შემდეგ კომპონენტებს: 6 ქულა - გაცემული პასუხი აქტუალურია, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მკაფიოდ და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია; განხილული საკითხი ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული; საკითხის განხილვისას ზუსტად და ამომწურავად არის გამოყენებული მასალის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები. დასკვნები არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და იძლევა თეორიული განზოგადებისა და პრაქტიკული რეალიზების საშუალებას; 5 ქულა - გაცემული პასუხი აქტუალურია, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ლოგიკურად ჩამოყალიბებულია, თუმცა აკლია სიცხადე და მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს; ცალკეული მეთოდი მიზნობრივად არის შერჩეული; მოსალოდნელი შედეგები ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია

		სიცხადე/დასაბუთება; საკითხის განხილვისას გაკეთებული დასკვნები მისაღებია, თუმცა მოიცავს უმნიშვნელო შეცდომებს; 4 ქულა - გაცემული პასუხის მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის; მასალა გაანალიზებულია ნაწილობრივ; გამოყენებული მეთოდები ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას; შედეგების განსჯა მოითხოვს გაუმჯობესებას; დასკვნები წარმოდგენილია მცირე შეცდომებით; 3 ქულა - გაცემული პასუხის მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ნაწილობრივ ფორმულირებულია, თუმცა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის; მასალა სათანადო დონეზე გაანალიზებული არ არის; გამოყენებული მეთოდები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას; შედეგების განსჯა მოითხოვს მნიშვნელოვან სრულყოფას; გაკეთებული დასკვნები წარმოდგენილია შეცდომებით; 2 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ზედაპირულია და არაარგუმენტი-რებულად ჩამოყალიბებულია, არის შემთხვევითი; მეთოდები შერჩეულია არათანმიმდევრულად, ვლინდება შეუსაბამობა თემის მიზნებსა და ამოცანებს და შერჩეულ მეთოდოლოგიას შორის. თემის მოსალოდნელი შედეგიც ნაკლებად არგუმენტირებულია; 1 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მეტწილად ჩამოყალიბებული არ არის, და, ძირითადად, მოიცავს სხვა საკითხებს; მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად; კონკრეტული მეთოდი არ აგროვებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც თემის მიზნებსა და ამოცანებთან არის შესაბამისობაში. თემის მოსალოდნელი შედეგები ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული; დასკვნები არაადეკვატურია; 0 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება არ არის ჩამოყალიბებული, არ შეესაბამება თემატიკას; არ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს; მეთოდები არ შეესაბამება კვლევითი პროექტის მიზნებსა და ამოცანებს და შესაბამისად არ უზრუნველყოფს შედეგების მიღებას; შედეგები ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე; დასკვნები საერთოდ არ არის წარმოდგენილი. შეიძლება იყოს უგულებელყოფილი აკადემიური კეთილსინდისიერების პრიციპები.
12.	ლიტერატურა და სხვა რესურსები	**სავალდებულო ლიტერატურა:** • ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ. 1961; • ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ. 1974; • ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ. 1988 **დამატებითი ლიტერატურა:** • შ. აფრიდონიძე, აბსოლუტური სინონიმიისა-თვის: *ქსკს,* VIII, 1988 • შ. აფრიდონიძე, სიტყვათსესხება: ჟურნ. *ქელ სკოლაში*, I, 1982 • ე. ბაბუნაშვილი, ომონიმია და მისი ადგილი ქართულ ენაში: *თსუ შრ.*, ტ. 93, 1960 • ა. ბაინდურაშვილი, სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბ., 1971 • კ. ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისა-თვის (თარგმანი ინგლისურიდან): კრებ. *მიმომხილველი,* 6-9, 1972 • ს. ბერიკაშვილი, ბრუნების სისტემის კლასიფიკაციის პრინციპები ძველსა და ახალ ბერძნულში, თბ., ლოგოსი 2008 • დ. გეწაძე, ქართული ენა : ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის პრაქტიკუმი, ქუთ. 1962 • თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, 2008

		• ბ. ფოჩხუა, ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის შედგენის საკითხები // არნოლდ ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 1979. • ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. თბ., 1983. • **ინტერნეტ-რესურსები:** • ვორდ-ნეტები: http://wordnet.princeton.edu/ • დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი: http://www.dictionary.ge/ **დამხმარე რესურსები:** • პროექტორი; • რუკა: ქართველური ენა-კავები, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის, 2010 • ამობეჭდილი მასალა • e-learning-ს ვირტუალურ გარემოში შექმნილი შესწავლილი მასალის შემოწმებაზე ორიენტირებული კითხვარები და სავარჯიშოები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება http://moodle.iliauni.edu.ge/ პორტალზე
13.	თემატიკა კვირების მიხედვით	იხ. დანართი

დანართი (სასწავლო კურსის შინაარსი)

№	*ლექცია-სემინარების თემატიკა*	*ლიტერატურა*
1.	კურსის მიზნების, შინაარსის (ლექცია-სემინარების ზუსტი თემატიკა თარიღების მითითებით), ფორმატის, შეფასების კომპონენტების, სავალდებულო ლიტერატურის პრეზენტაცია. **თეორიული მასალა:** ლექსიკოლოგიის საგანი, მიზანი და წყაროები, მისი ურთიერთობა სხვა საენათმეცნიერო დარგებთან. ლექსიკის განხილვა, როგორც ლექსემათა ერთიანი სისტემისა და, არა სიტყვათა მექანიკური ერთობილობისა, მეცნიერული და პრაქტიკული ლექსიკოგრაფია. ლექსიკონთა ტიპები. ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს შესავსებად გადაეცემა ტესტი, რომელშიც იქნება შესული რამდენიმე თეორიული საკითხი ენათმეცნიერების შესავალი კურსიდან და სამი სავარჯიშო (ქართულად, ინგლისურად და რუსულად). აღნიშნული სავარჯიშოების შეფასებით გამოვლინდება: 1) ქართული ენის ლექსიკურ მოვლენათა ძირითად ტიპების ცოდნა; 2) უცხო ენის ცოდნა	ბ. ფოჩხუა, გვ. 5-22
2.	**თეორიული მასალა:** სიტყვის სემანტიკა. *აღსანიშნისა* და *აღმნიშვნელიბს* ურთიერთობა. სახელდების პრობლემა. *ფიუსეი* და *თესეი.* ანტიკური და თანამედროვე სემანტიკური თეორიები. მნიშვნელობის შექმნაში ფონემისა და მორფემის როლის შედარებითი განხილვა. **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	ბ. ფოჩხუა, გვ. 22-28; ს. ბერიკაშვილი, გვ. 10-15
3.	**თეორიული მასალა:** სიტყვის ფუნქციონირების პირობები: ბგერადობა, საგნობრივი მიმართება, ენობრივი კოლექტივი. ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებები სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სამსახურში. სიტყვების სიგრძის ფაქტორი. "მოკლე სიტყვების თეორია" **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	ბ. ფოჩხუა, გვ. 43-68, გვ. 83-85;
4.	**თეორიული მასალა:** ძირითადი ლექსიკური ფონდი და სიტყვათა სტრუქტურის საკითხი. უნივერსალური და ეროვნული ენაში. ნათესავებისა და "მშობელთა ჯგუფის" სახელები სხვადასხვა ენაში: საერთო და განსხვავებული მათ სტრუქტურასა და მნიშვნელობაში. ჯგუფის შიგნით საზოგადო დ საკუთარ სახელთა გარჩევის საშუალებანი. **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	ბ. ფოჩხუა, გვ. 123-162 დ. გეწაძე, გვ. 4-5
5.	**თეორიული მასალა:** ონომატოპოეტური ლექსიკა და მისი ტიპოლოგია. ბგერათა სიმბოლიკა. ხმაბაძვითი სიტყვების ფონეტიკურ-მორფოლოგიური აგებულება ქართულში და მათი სტრუქტურის შედარების სხვა ენების ანალოგიურ ლექსიკასთან. **დამუშავებული საკითხების პრეზენტაცია** **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	ბ. ფოჩხუა, გვ. 98-103 დ. გეწაძე, გვ. 5-8
6.	**პირველი კოლოკვიუმი**	
7.	**თეორიული მასალა:** სინტაგმატიკა და პარადიგმატიკა ლექსიკაში. ლექსიკური პარადიგმატიკის ჯგუფები. სინონიმია და ანტონიმია, როგორც ენაში ფიქსირებული ფორმის გამეორებისა და დარღვევის საპირისპირო ტენდენციათა ლექსიკური გამოვლენა. პოლისემია და	ბ. ფოჩხუა, გვ. 83-85 დ. გეწაძე, გვ. 8-13

№	ლექცია-სემინარების თემატიკა	ლიტერატურა
	ომონიმია. სხვადასხვა - შესაბამისად დიაქრონული (ისტორიული) და სინქრონიული - თვალსაზრისები მათ შესაფასებლად. ომონიმთა წარმოქმნის წყაროები. სიტყვის სიგრძისა და მორფემული აგებულების ფაქტორები. ომონიმები და ომოფორმები. ომონიმები და პარონიმები. **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	
8.	**თეორიული მასალა:** სიტყვაწარმოება (დერივაცია) და შერწყმა (თხზვა, კომპოზიცია). სხვადასხვა მორფოლოგიური შედგენილობისა და წარმოების კომპოზიტები. კომპოზიტების მნიშვნელობა და კომპონენტების რიგი. მოტივაციის როლი სიტყვის ფუნქციონირებისას. **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	ბ. ფოჩხუა, გვ. 103-122 თ. გამყრელიძე, გვ. 180-184 დ. გეწაძე, გვ. 16-21
9.	**თეორიული მასალა:** სიტყვების უზოგადესი სემანტიკური ჯგუფები. ლექსიკის თემატური დანაწევრება. ცნებათა ბუდეები საბას ლექსიკონში. თეზაურუსის შედგენის პრინციპები (როჟე). ქართული იდეოგრაფიული ლექსიკონი. ფუნქციონალური ლექსიკა: ზედსართავთა, რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთა ადგილი ლექსიკურ სისტემაში. **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	ბ. ფოჩხუა, გვ. 126-135, გვ. 146-163
10.	**თეორიული მასალა:** ლექსიკის კლასიფიკაცია "სემანტიკური ველების" მიხედვით. სემანტიკური ფაქტორის როლი ფონეტიკურ-გრამატიკული ანალოგიების წარმოქმნაში. სინონიმიის მადეფორმირებელი გავლენა გრამატიკულ (სინტაქსურ) კონსტრუქციებზე. **დამუშავებული საკითხების პრეზენტაცია** **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	თ. გამყრელიძე, გვ. 347-353;
11.	**მეორე კოლოკვიუმი: ლექსიკონის შედგენა (Half-result ფორმატი)** **მასალის შემოწმება:** მასალა შემოქმებული იქნება moodle-ის პორტალზე არსებული Turnitin მოდულის გამოყენებით	
12.	**თეორიული მასალა:** საერთო ქართული ლექსიკა, ტერიტორიული და სოციალური დიალექტები. დიალექტების როლი ლექსიკის გამდიდრებაში. საკულტო ლექსიკა; "საბავშვო" სიტყვები; ჟარგონიზმები, როგორც ვიწრო სოციალურ ჯგუფთა ლექსიკური თავისებურებანი, როგორც სოციალური დიფერენციაციის უკუფენა ენის ლექსიკურ ფონდში. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემა: ა) საგამოცდო ბილეთები; ბ) moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	შ. აფრიდონიძე, გვ. 44-61 რუკა: ქართველური ენა-კავები დ. გეწაძე, გვ. 23-32
13.	**თეორიული მასალა:** ენათა ნათესაობისა და კონტაქტების შესახებ არსებული თეორიები და მეთოდები: ისტორიულ-შედარებითი; ე.წ. "ნოსტრატული ჰიპოთეზა"' "გლოტოქრონოლოგიური, ანუ ლექსიკოსტატისტიკური" მეთოდი; ტიპოლოგიური კვლევის მეთოდი. მათი შეფასება კვლევის გამოსადეგობის კუთხით. ლექსიკა და ფრაზეოლოგია. სხვადასხვა ფრაზეოლოგიური ერთეული **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	ბ. ფოჩხუა, გვ. 306-342; კ. ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, გვ. 6-9 ა. თაყაიშვილი, გვ. 12-20
14.	**თეორიული მასალა:** ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, რთული შედგენილობის ტერმინები, იდიომები. იდიომური მნიშვნელობის პარამეტრები: იდიომის კომპონენტთა ლექსიკალიზაცია (ფორმულა:	ა. თაყაიშვილი, გვ. 21-29, გვ. 83-85 დ. გეწაძე, გვ. 32-38

№	*ლექცია-სემინარების თემატიკა*	*ლიტერატურა*
	იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს). გრამატიკა და ფრაზეოლოგია **პრაქტიკული მასალა:** moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	
15.	**თეორიული მასალა:** ლექსიკონების შედგენის საკითხისათვის ა) ინფორმაციის შეტანის პრინციპები ბ)ლექსიკოგრაფიული წყაროების გამოყენებისათვის თარგმანის დროს გ) სწორი ეკვივალენტის შერჩევისათვის კომპიუტერული ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია ა) ვებ-რესურსები და ონ-ლაინ ლექსიკონები ბ) არსებული კომპიუტერული პროგრამები გ) ვორდნეტები **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემა ვებ-გვერდების მისამართები და moodle-ის პორტალზე ატვირთული მასალა და სავარჯიშოები	wordnet.princeton.edu dictionary.ge
16.	**დასკვნითი გამოცდა (კოლოკვიუმი)**	